ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს
2024 წლის 8 ივლისის სხდომის
ოქმი N5

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 8 ივლისს ჩატარდა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

<u>დღის წესრიგი:</u>

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნები.

ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობის 37 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 32. დეკანის არჩევნების პროცედურის მიხედვით, კვორუმი შეადგენს სიითი შემადგენლობის 2/3-ს, ანუ 25 კაცს. ამრიგად, კვორუმი შედგა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა, ასოცირებულმა პროფესორმა თინათინ დავითაშვილმა. მან საბჭოს წევრებს აცნობა, რომ თსუ აკადემიური საბჭოს №54/2016 დადგენილებით დამტკიცებულია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურა. აღნიშნული პროცედურის თანახმად, ფაკულტეტის საბჭო სხდომის დაწყებისთანავე ირჩევს თავმჯდომარეს.

თ. დავითაშვილმა საბჭოს წევრებს შესთავაზა დაესახელებინათ სხდომის თავმჯდომარის კანდიდატურა. დასახელდა პროფესორ ალექსანდრე შენგელაიას კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა. ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა თ. დავითაშვილმა კენჭი უყარა დასახელებულ კანდიდატურას. პროფესორი ალექსანდრე შენგელაია ერთხმად აირჩიეს სხდომის თავმჯდომარედ.

ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე წარდგენილი იყო ორი კანდიდატურა:

- ასოცირებული პროფესორი მიხეილ ამაღლობელი;
- ასოცირებული პროფესორი პეტრე ბაბილუა;
- პროფესორი მანანა ხაჩიძე.

კანდიდატების შესახებ ინფორმაცია იყო საჯარო და წინასწარ იყო ატვირთული ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

სხდომის დაწყებისთანავე ერთ-ერთმა კანდიდატმა, ასოცირებულმა პროფესორმა მიხეილ ამაღლობელმა მოხსნა თავისი კანდიდატურა (განცხადება ოქმს თან ერთვის).

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პროფესორმა ა.შენგელაიამ სიტყვა გადასცა საბჭოს მდივანს თ. დავითაშვილს. მან აღნიშნა, რომ პროცედურის მიხედვით საჭიროა საარჩევნო კომისიის არჩევა 5 წევრის - 3 პროფესორისა და 2 სტუდენტის შემადგენლობით და საბჭოს წევრებს სთხოვა დაესახელებინათ კანდიდატურები.

საბჭოს წევრებმა საარჩევნო კომისიის წევრებად დაასახელეს შემდეგი კანდიდატურები:

1. ლია მაჭავარიანი, პროფესორი;
2. ომარ ფურთუხია, პროფესორი;

3. ირინა ხუციშვილი, ასოცირებული პროფესორი;
4. ვასილ ბერიძე, სტუდენტი;
5. ბაბილინა დარსალია, სტუდენტი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატების არჩევის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: საარჩევნო კომისიის ყველა წევრი არჩეულ იქნა ერთხმად.

დაადგინეს: საარჩევნო კომისიის წევრებად არჩეულნი არიან ფაკულტეტის საბჭოს შემდეგი წევრები:

1. ლია მაჭავარიანი, პროფესორი;
2. ომარ ფურთუხია, პროფესორი;
3. ირინა ხუციშვილი, ასოცირებული პროფესორი;
4. ვასილ ბერიძე, სტუდენტი;
5. ბაბილინა დარსალია, სტუდენტი.

საარჩევნო კომისიის არჩევის შემდეგ პროფ. ა. შენგელაიამ საბჭოს წევრებს გააცნო დეკანის არჩევის პროცედურა.

საარჩევნო კომისიის წევრებმა საბჭოს წევრების თანდასწრებით შეამოწმეს საარჩევნო ბიულეტენებისთვის განკუთვნილი ყუთი და დალუქეს. შემდეგ კი დაითვალეს საარჩევნო ბიულეტენები.

14-დან 17 საათამდე ჩატარდა არჩევნები.
ყველა პროცედურა ჩატარდა საბჭოს წევრთა თანდასწრებით.

საარჩევნო კომისიის წევრმა ომარ ფურთუხიამ საბჭოს წევრებს გააცნო არჩევნების შედეგები:

- ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ მიიღო 28 ხმა;
- პროფესორმა მანანა ხაჩიძემ მიიღო 5 ხმა;
- ბათილად გამოცხადდა 2 ბიულეტენი.

ოქმს დანართის სახით ერთვის საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი.

დაადგინეს: საარჩევნო კომისიისგან მიღებულ იქნეს ცნობად ინფორმაცია, რომ ფაკულტეტის დეკანად არჩეულ იქნა ასოცირებული პროფესორი პეტრე ბაბილუა (იხ. დანართი - საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
პროფესორი ალექსანდრე შენგელაია ა. შენგელაია

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი თ. დავითაშვილი